Ambasciata d'Italia
Tbilisi

Prot: 1273
del 06-12-2022

**NOTA VERBALE**

L'Ambasciata d'Italia in Georgia presenta i suoi complimenti al Ministero degli Affari Esteri della Georgia e ha l'onore di trasmettere, con preghiera di darne adeguata diffusione, il bando di concorso relativo al programma "World House" realizzato dall'Associazione "Rondine – Cittadella della Pace", attiva dal 1997 nella promozione della cultura del dialogo e della pace, e rivolto a giovani leader di età compresa tra i 21 e i 28 anni, provenienti da aree di conflitto e post-conflitto, compreso il Caucaso del Sud. L'Associazione provvede al pagamento del costo di un master di I livello nelle università del Centro Italia e di un corso intensivo di italiano, nonché delle spese di vitto e alloggio.

I moduli di candidatura dovranno essere accompagnati da tutti i documenti indicati sulla pagina n.6 dell'allegato bando e dovranno essere inviati entro e non oltre il 10 gennaio 2023 al seguente indirizzo di posta elettronica: apply@rondine.org oppure international.rondine@gmail.com.

Il bando di selezione e il modulo di candidatura, entrambi in lingua inglese, sono reperibili anche in formato digitale al seguente link: https://callforparticipants.rondine.org/

L'Ambasciata d'Italia in Georgia ringrazia e si avvale dell'occasione per rinnovare al Ministero degli Affari Esteri della Georgia i sensi della sua più alta considerazione.

AMBASCIATA D'ITALIA TBILISI

---

MINISTERO DEGLI AFFARI ESTERI
DELLA GEORGIA

არაოფიციალური თარგმანი

ვერბალური ნოტა

იტალიის საელჩო საქართველოში გამოხატავს თავის პატივისცემას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი და აქვს პატივი, გაუგზავნოს შეტყობინება პროგრამაში "World House" მონაწილეთა შესარჩევი კონკურსის შესახებ, რომელიც ხორციელდება 1997 წლიდან მშვიდობისა და დიალოგის კულტურის გავრცელებისთვის მოქმედი ასოციაცია "რონდინე, მშვიდობის ციტადელის" მიერ. კონკურსი მიმართულია 21-დან 28 წლამდე ახალგაზრდა ლიდერებისთვის კონფლიქტური და პოსტ-კონფლიქტური ზონებიდან, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან. ასოციაცია საკუთარ თავზე იღებს ცენტრალური იტალიის უნივერსიტეტებში I საფეხურის სამაგისტრო კურსზე დასწრების, იტალიური ენის ინტენსიურ კურსზე სწავლის და, ასევე, კვებისა და ცხოვრების ხარჯების დაფარვას.

კონკურსში მონაწილეობის განაცხადს თან უნდა ახლდეს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მითითებულია ამ ნოტას თანდართული "საკონკურსო პირობების" მე-6 გვერდზე. განაცხადის გაგზავნა ხდება 2023 წლის 10 იანვრამდე ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართებზე: apply@rondine.org ან international.rondine@gmail.com.

საკონკურსო პირობები და განაცხადის ფორმა ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფორმატში შემდეგ ბმულზე: https://callforparticipants.rondine.org/.

იტალიის საელჩო თბილისში თხოვნით მიმართავს საგარეო საქმეთა სამინისტროს გაავრცელოს აღნიშნული ინფორმაცია და სარგებლობს შემთხვევით, კიდევ ერთხელ გამოხატოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი თავისი ღრმა პატივისცემა.

-----------------------------------

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

თბილისი